Sps Tbilisis Ria saswavlo universiteti
TBILISI OPEN TEACHING UNIVERSITY LLC

# თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

დეტალური სფერო: **მენეჯმენტი და ადმინისტრირება**
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

დეტალური სფერო: **სამართალი**
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

დეტალური სფერო: **ლიტერატურა და ლინგვისტიკა**
პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

ვიწრო სფერო: **სოციალური და ქცევითი მეცნიერებები**
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ინფორმაცია კონკურსში მონაწილე კანდიდატებისთვის**

- **პროფესორის** თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება. იგი თანამდებობაზე აირჩევა 5 წლის ვადით.
- **ასოცირებული პროფესორის** თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. იგი თანამდებობაზე აირჩევა 3 წლის ვადით.
- **ასისტენტ-პროფესორის** თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც თანამდებობაზე აირჩევა 3 წლის ვადით.
- უნივერსიტეტი უფლებამოსილია აკადემიურ თანამდებობაზე აირჩიოს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალი. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

**კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ:**

- ✓ განცხადება რექტორის სახელზე;
- ✓ რეზიუმე (CV) - დადასტურებული ხელმოწერით;
- ✓ პირადობის მოწმობის ასლი;
- ✓ კვალიფიკაციისა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები;
- ✓ სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (ბოლო 10 წლის განმავლობაში, წლების მითითებით);
- ✓ შესაბამის სფეროში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი ინფორმაცია (თუ არ არის მითითებული რეზიუმეში);
- ✓ სადისერტაციო თემის შესახებ ინფორმაცია (თემის სათაური, მიმართულება, დარგი - თუ არ არის მითიოთებული რეზიუმეში);
- ✓ არჩეული სასწავლო კურსის სილაბუსი;

❖ საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2019 წლის 20 დეკემბრიდან 24 დეკემბრის ჩათვლით. შემდეგ ელექტრონულ მისამართზე info@openuni.edu.ge სათაურის ველში მიუთითეთ **„კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად“.** განაცხადი **ა**სევე მიიღება: თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ.#2 , მე-3 სართული, ოთახი #301 (კანცელარია) .

❖ კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

1) კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობა/შესწავლა
2) გასაუბრება

❖ გასაუბრება ჩატარდება 2019 წლის 25 დეკემბერს.

❖ საბოლოო შედეგები გამოცხადდება 2019 წლის 27 დეკემბერს.